**როდის ჩატარდება საჯარო მოხელეთა კონკურსი?**

გვ. 2

**რატომ სტუმრობს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფოთს ხშირად?**

გვ. 2

**სად წაიღო სენაკის საკრებულოს თავმჯდომარემ ავტომანქანის საყიდელი ფული?**

გვ. 4

# მთავარი ფოთ და სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი | № 16 29 ივლისი - 6 აგვისტო 2015 წელი\ | გამოდის სამშაბათობით

**როდის დასრულდება სენაკი – ფოთის მაგისტრალის რეაბილიტაცია?**

გვ. 2

**სამეგრელოს რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იწყება**

გვ. 3

**რატომ არ უკანონებენ მიწის ნაკვეთს მეწარმე მეცნიერებს?**

გვ. 3

**საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთი-1913,, ახალ სეზონს ახალი შემადგენლობით ხვდება**

გვ. 7

**შენ ჯერ ეგ არ გინახავს? აქ გვიპოვი ჩვენ**

www.msnews.ge

# ეშველება თუ არა გაჩერებულ სამუშაოებს რამე?

**ეკა კაცია**
**ფოთი**

ფოთში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდი ხანია გაჭიანურებით მიმდინარეობს და დამთავრების პირიც არ უჩანს. ქალაქში აყრილია ტროტუარები, მაგრამ ამ ბოლოს საბედნიეროდ, მუშაობა მიმდინარეობს და ერთადერთი შენობა - იუსტიციის სახლი დასრულდა, თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეორედ გაკეთდა მასთან მისასვლელი გზა. შეჩერებულია სტადიონის, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე სახლების ფასადების რეაბილიტაცია. სტადიონის ,,აღმდგენლებს“ ტენდერით გათვალისწინებული ვადა ივლისის ბოლომდე აქვთ და ქალაქის ხელისუფლება ამ დრომდე შედეგს ელოდება, მაგრამ სტადიონზე სამუშაოების დამთავრებას ამ დროში სასწაულითაც კი ვერავინ მოახერხებს, რადგან უკვე ივლისის მიწურულია და სამუშაოების ნახევარიც კი არ გახლავთ შესრულებული. ამდენად, ირაკლი კაკულიას თქმით, ტენდერის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სტადიონი მესამე კომპანიის (და იმედია, ამჯერად მაინც კეთილსინდისიერი მშენებლები იქნებიან) ხელში გადავა. როდის დამთავრდება საბოლოოდ ესოდენ გაჭიანურებული სამუშაოები, ამის გასაგებად მივმართეთ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს ზურაბ ყურუას, რომელმაც სრულიად განსხვავებული და ოპტიმისტური სურათი დაგვიხატა. როგორც მან გვითხრა: ,,ბევრი რაღაც კეთდება ქალაქისთვის. რუსთაველის რკალის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და ტროტუარები კეთდება. კეთდება სანიაღვრე არხები ნაბადისა და კუნძულის უბნებში, მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების გადახურვა 9 აპრილის ხეივანზე, სადაც 20-მდე ბინა რემონტდება. არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სკოლა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, რაც დაწყებულია და სასწავლო პროცესის დაწყებამდე უნდა დასრულდეს. აღმაშენებელზე ფასადები რემონტდება და თითქმის დასრულებულია. ამ სამშენებლო კომპანიამ გადააცილეს სამუშაოს ჩაბარების დროს და ჯარიმაც დაეკისრათ 58 ათასი ლარის ოდენობით. ტროტუარების სა-

გაგრძელება 2-გვ.



**მაია ჩხარტიშვილი: ,,იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“**

გვ. 4

**გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტზე ,,გმს,, მითითება სავალდებულოა**

გვ. 5

გამომცემელი და
დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
მარი ჯავახია -
579 241 122

დისტრიბუციის
სამსახური
ეკა კაცია
568 84 57 40

კორესპონდენტები:

ეკა კაცია
(ფოთი)
568 84 57 40

ქეთი ჭითავა(სტაჟიორი)
598 21 20 11

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -2 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,4 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

# როდის დასრულდება სენაკი - ფოთის მაგისტრალის რეაბილიტაცია?

**მარი ჯავახია**

**ფოთი**

რამდენიმე თვეა, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი–სარფის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ეს გარკვეულ პრობლემებს უქმნის მგზავრებს, რადგან აღნიშნულ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის გამო შემოვლითი გზით უწევთ მგზავრობა, რაც ზრდის მგზავრობის მანძილსა და დროს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ გზა არ გაკეთდეს, მაგრამ მძღოლებისა და მგზავრების პრეტენზიებს ესოდენ გაჭიანურებული რემონტი იწვევს. ამას ისიც ემატება, რომ ფოთი-ჭალადიდის გზის 5 კილომეტრიანი მონაკვეთი კარგა ხანია აყრილია, კატასტროფულ მდგომარეობაშია და მის გაკეთებას არა და არ დაადგა საშველი. თავად ვნახეთ, სენაკი-ჭალადიდის მონაკვეთზე სამუშაოები თითქმის დასრულებულა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, 5 კილომეტრიან მონაკვეთზე ჯერჯერობით არანაირი სამუშაოები არ შეინიშნება, თუმცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ამ მონაკვეთზე სამუშაოები უკვე რამდენიმე ხანია დაწყებულია.

გზის ასეთი მდგომარეობა მძღოლების უკმაყოფილების საგანია, რადგან მათი სატრანსპორტო საშუალებები დაზიანებული გზის გამო ფუჭდება და ეს მათთვის დამატებითი ხარჯებია. კობა ზამბახიძე: „თუ ამ გზის გაკეთებას ამდენი ხანი არ აპირებდნენ, რა საჭირო იყო ძველი ასფალტის აყრა? მშვენივრად დავდიოდით და ტრანსპორტიც არ ფუჭდებოდა. ახლა კი მანქანებიც ზიანდება და ეს ჩვენთვის ზედმეტი ხარჯია ამ სიდუხჭირის დროს“.

ჩვენთან საუბარში ფრიად განერვიულებული სამაშრუტო ტრანსპორტის მძღოლი გიორგი მამფორიაც ჩაერთო: „ეს გზა მე ნერვებს მიფუჭებს და ჩემს მანქანას ნაწილებს. ხშირად დავდივარ და ვხედავ როგორი გაღიზიანებულია მძღოლები და მგზავრები. სხვა საკითხია, რამდენი ხანი ვუნდებით მის გავლას და რამდენი დრო გვეკარგება. ხალხზე არავინ ფიქრობს“.სამუშაოებს საგზაო სამშენებლო სარემონტო კომპანია „არქეოპოლისი“ ასრულებს.

აღნიშნული გზა, რომელიც ამორტიზებული იყო, რამდენიმე ათწლეულია არ შეკეთებულა. პროექტი 13 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას და 1 ხიდის მშენებლობას მოიცავს. ამ ეტაპზე გზის გაგანიერებისთვის გაბიონების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა. ასევე გაკეთდა გზის ვაკისის გამაგრება ხიმინჯებითა და გეოტექსტილით. რეაბილიტაცია ჩაუტარდა არხზე არსებულ სახიდე გადასასვლელს. მოეწყო საფუძველი რეციკლირების მეთოდით და იგება ორფენიანი ასფალტ–ბეტონის საფარი. ასევე, განხორციელდება მილების, გაბიონის საყრდენი კედლების, ეზოში შესასვლელების, ავტოპავილიონების, ქვეითად მოსიარულეთა ბილიკების, ბეტონის პარაპეტების, საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

პროექტი, რომლის ღირებულება 12 მილიონ 495 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სარეაბილიტაციო სამუსაოები 2014 წლის ნოემბერში დაიწყო და დასრულდება 2015 წლის ნოემბერში.

# ფოთში კოღოს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

**მარი ჯავახია**

**ფოთი**

ფოთში საქართველოს მთავრობის განკარგულებით კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელება დაიწყო. 9 აპრილის ხეივანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კოღოს საწინააღმდეგო შეწამვლის პროცესს ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზაზა დოლიძე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია დაესწრნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთში, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, პირველად ხდება მწერებთან (კოღოსთან) ბრძოლის მასშტაბური სამუშაოების ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში, ფოთში განხორციელდება კოღოს საწინააღმდეგოდ შემდეგი პროცედურები. ღია სივრცეები და წყალსატევები შეიწამლება ბიოლოგიური საშუალებებით, ხოლო ქალაქში არსებული შენობა-ნაგებობები და დახურული სივრცეები სპეციალური საშუალებებით დამუშავდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციის საფუძველზე სააგენტომ ბიოლოგიური პრეპარატით უკვე დაამუშავა წყალსატევები, დაჭაობებული ადგილები, სადაც მასიურად აღინიშნებოდა კოღოს მატლების გავრცელება, მათ შორის, ბათუმში - 16 ჰა, ფოთში - 40 ჰა. საქართველოში პირველად გამოყენებულია ამერიკული წარმოების ბიოინსექტიციდი „ვეკტობაკი“, რომელიც სპეციალურად შექმნილია კოღოს მატლების გასანადგურებლად წყლის ზედაპირზე, ის ეფექტურია 20-30 დღის განმავლობაში. პრეპარატი რეკომენდებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და აბსოლუტურად უსაფრთხოა თბილსისხლიანებისათვის, თევზებისა და ჭიაყელებისთვის.

კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა შეწამვლითი სამუშაოების ორ ეტაპს მოიცავს, პირველი ეტაპი ივლისის პირველ დეკადაში განხორციელდება, მეორე ეტაპი კი სექტემბერში. პროგრამის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება მუნიციპალიტეტის სამსახურებს, ქალაქის საცხოვრებელი კორპუსების ამხანაგობებს და მოქალაქეებს.

# რატომ სტუმრობს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფოთს ხშირად?

**მარი ჯავახია**

**ფოთი**

ამ ბოლო დღეებში გარკვეულ წრეებში საუბრობენ, რომ პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში გადასული მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ყოველ დღე სტუმრობს ფოთს. არავინ იცის, ჯერჯერობით მაინც (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჯერ ვერ დავადგინეთ), რა მიზნით ჩამოდის ყოფილი პრემიერმინისტრი ჩვენს ქალაქში, მაგრამ ერთ-ერთ საინფორმაციო საშუალებასთან საუბარში როგორც განაცხადა, ის იქ ჩადის, სადაც არაფერი კეთდება.

თვითმხილველები ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი რამდენჯერმე მალთაყვის ტერიტორიაზე შენიშნეს. იგი იქ მდებარე ოქროს ტბით მეტად მოხიბლულა და უთქვამს, როგორი ლამაზი და საინტერესო ადგილი ყოფილა ფოთშიო. იმასაც ამბობენ, რომ ინკოგნიტოდ ჩამოსული ყოფილი პრემიერმინისტრის სტუმრობის შესახებ ქალაქის ხელისუფლებას გაუგია და მაშინვე მალთაყვაში გაქანებულა, ხოლო აღმშენებლობითი საქმეებით ცნობილ ყოფილ პრემიერსა და მოქმედ მილიარდერს ეს ხელმძღვანელობა დაუტუქსავს – ფოთში ბევრი არაფერი გაგიკეთებიათო. ის ადამიანები, რომლებმაც ივანიშვილი ფოთში ნახეს, იმედით ამბობენ, რომ ბიზნესმენმა ფოთს თვალი დაადგა და შესაძლოა, ამ ქალაქს ბოლოსდაბოლოს საშველი დაადგეს და რამე ნამდვილად გაკეთდეს. როგორც აღვნიშნეთ, ივანიშვილის სტუმრობის ნამდვილი მიზეზი ჩვენთვის ცნობილი არ გახლავთ, მაგრამ იმედია, მალე გაცხადდება.

# ფოთელი პატარებისთვის მორიგე ბაღი გაიხსნება

**ქეთი ჭითავა**

**ფოთი**

ფოთში 15 სააღმზრდელო დაწესებულება არსებობს, რომლებიც 1 აგვისტოდან არდადეგებს აცხადებს. გამონაკლისი გახლავთ ქალაქის №1 ბაღი, რომელიც შეუწყვეტლივ გააგრძელებს მუშაობას და ამ პერიოდში ბაღში სიარულის მსურველებისთვის სამი ჯგუფი იფუნქციონირებს და 9 საათიანი რეჟიმით იმუშავებს - დილის 9 -დან საღამოს 6 საათამდე. როგორც სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების ახალმა ხელმძღვანელმა მარგო ჯანუაშვილმა გვითხრა: „უკვე გვაქვს 312 ბავშვის განაცხადი. თუ ბავშვების რაოდენობა იქნება იმდენი, რომ გავხსნათ ცალკე ბაღი, ჩვენ ამისათვის მოვნახავთ შენობას. ჩვენი მრავალი აღსაზრდელი უკვე გავაცილეთ სკოლისაკენ და ჩავატარეთ საზეიმო საღამოები. ახალი აღსაზრდელებიც დაგვემატა. რა თქმა უნდა გვაქვს პრობლემები ცალკეულ ბაღებში გადახურვასთან, სველ წერტილებთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ ამას ვაგვარებთ – რამდენიმე ბაღში დაწყებულია სარემონტო სამუშაოები და ახალ სასწავლო წელს პატარები უფრო კომფორტულ გარემოში იქნებიან“.

# როდის ჩატარდება საჯარო მოხელეთა კონკურსი?

**ქეთი ჭითავა**

**ფოთი**

რამდენჯერმე დაანონსებული საჯარო მოხელეთა კონკურსი ფოთში ისევ გადაიდო. ბოლო მონაცემებით, იგი ივლისში უნდა გამართულიყო, მაგრამ სექტემბრამდე პირი არ უჩანს. როდის იგეგმება და რატომ ჭიანურდება საჯარო მოხელეთა კონკურსი, ამის შესახებ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად შუბითიძე როგორც გვეუბნება: „საკონკურსო -საატესტაციო კომისია დაუკავშირდა საგამოცდო კომისიის ეროვნულ ცენტრს და მათთან შეთანხმებით, კონკურსი აუცილებლად ჩატარდება სექტემბრის დასაწყისში. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უნდა შეარჩიოს ჩატარების თარიღი. ჩვენ ამ ცენტრთან შეთანხმებით უნდა ჩავატაროთ ეს კონკურსი იმიტომ, რომ განაცხადები არის ძალიან ბევრი და ტექნიკურად კონკურსის ჩატარება დამატებით ხარჯებს მოითხოვს ქალაქ ფოთის თვითმართველობის მუნიციპალიტეტისთვის“. შუბითიძემ აღნიშნული კონკურსის გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად ივლისში მიმდინარე ეროვნული გამოცდებიც დაასახელა. როგორც მან გვითხრა, ამჟამად 65 ვაკანსია არსებობს.

მანამდე 41 ვაკანსია გახლდათ და როგორც ჩანს, კონკურსის ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად ვაკანსიების რიცხვიც იზრდება. ვაკანსიები გამოცხადებულია სხვადასხვა თანამდებობებზე - სპეციალისტები, განყოფილების უფროსები. განცხადებების მიღება და მათი შემოწმება დღესაც მომდინარეობს. მეორე ეტაპი უკვე უშუალოდ ტესტირება გახლავთ. შეგახსენებთ, რომ ერთ მოქალაქეს 5 ვაკანსიაზე განაცხადი გაკეთება შეუძლია.

# ეშველება თუ არა გაჩერებულ სამუშაოებს რამე?

**დასაწყისი პირველი გვერდიდან**

რემონტოდ გამოყოფილია 1 მილიონ 369 ათასი ლარი. ასევე უნდა გაკეთდეს ორმოები. ტენდერი გამოცხადებულია და ჯერ არ არის დასრულებული მალთაყვის ზოლის გაკეთებაზე.ზამბახიძის ქუჩაზე არსებული ბაღი ავარიულ მდგომარეობაშია, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს და გამოცხადებულია ტენდერი. ლარნაკას ქუჩაზე ჩახერგილია გზა სატვირთო მანქანებით ( ტრაილერებით), რაც ხელს უშლის ავტომობილების თავისუფალ გადაადგილებას. ამდენად, გვინდა გავაკეთოთ სპეციალური სადგომი, სადაც მძღოლებს შეეძლებათ სატვირთოების დატოვება და მოძრაობაც თავისუფალი გახდება“.

ძალიან გვინდა, ბატონ ყურუას დავუჯეროთ, მაგრამ არც ის გვინდა, ცნობილი ანდაზის „ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს“ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. ვიმედოვნებთ, მალე ჩვენც ვნახავთ დასრულებულ სამუშაოებს, გალამაზებულ შენობებსა და განვითარებულ ინფრასტრუქტურას ჩვენს ქალაქში.

# სამეგრელოს რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იწყება

ინგა გვასალია
ფოთი

სენაკის მუნიციპალიტეტში არსებულმა მენჯის კურორტმა შესაძლოა მალე ისევ ძველი დიდება დაიბრუნოს. საქმე იმაში გახლავთ, რომ მენჯის უნიკალური კურორტით ინვესტორები დაინტერესდნენ და მის აღსადგენად საკმაოდ სოლიდური ინვესტიციების ჩადებას გეგმავენ. თუ რა იგეგმება მენჯის კურორტთან დაკავშირებით და სხვა საინტერესო პროექტებზე ვესაუბრეთ რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსს - დავით კოდუას.

-მენჯთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნების ბიზნესმენების მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესებაა. ამჟამად ჩვენ ყველაზე საინტერესო შემოთავაზების შერჩევის პროცესში ვართ. რა თქმა უნდა, აქცენტი გაკეთდება ფინანსურად მნიშვნელოვან პროექტზე, რომელიც რეგიონს უფრო დიდ შემოსავალს მოუტანს. ამჯერად ეკონომიკის სამინისტროსთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ერთ-ერთი ჩინური კომპანია. რომელიც ამ პროფილისაა და დიდი გამოცდილება გააჩნიათ ამ სფეროში. პროექტის მიხედვით, საკურორტო ზონა რამდენიმე პონებად იქნება დაყოფილი და ამ ზონებში მოხდება სხვადასხვა მიზნობრივი ობიექტების განთავსება.

-ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობა იგეგმება თუ არსებულის რეკონსტრუქცია? რა მოთხოვნებია წაყენებული ინვესტორისათვის და რა კრიტერიუმით შეირჩა ჩინური კომპანია?

-შემოთავაზებული ვარიანტით, რამდენიმე ობიექტის აგებაც იგეგმება, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, არსებული ობიექტების რეაბილიტაციას და სხვადასხვა დანიშნულების სამკურნალო პროგრამების განთავსებას. რაც შეეხება შერჩევის პრინციპებს - მათ აქვთ გამოცდილება ამ კუთხით და ყავთ თავიანთი ინვესტორთა ჯგუფი. ვნახოთ რას შემოგვთავაზებენ. ამ ეტაპზე დაწყებულია მოლაპარაკებები ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობით. ველოდებით რამდენიმე ჯგუფს, რომლებსაც, როგორც უკვე გითხარით, თავად ეს ჩინური კომპანია უკავშირდება. ამასთან, ჩვენ პარალელურად ვმუშაობთ ამ პროფილის მქონე სხვა ინვესტორებთანაც. ეს პროცესი არ ჩერდება და უეჭველად გამოვნახავთ გამოსავალს იმისათვის, რომ ასეთი უნიკალური შესაძლებლობების მქონე კურორტი არ დარჩეს გამოუყენებელი ჩვენი რეგიონისა და სრულიად საქართველოსთვის, რადგან ამ კურორტს აღდგენის შემთხვევაში საკმაოდ სოლიდური თანხების შემოტანა შეუძლია ადგილობრივ თუ ცენტრალურ ბიუჯეტში.

-როგორც იცით ამჟამად იქ დევნილები ცხოვრობენ და შეთანხმების შემთხვევაში, რას თავაზობს ინვესტორი ან

ხელისუფლება მათ?

-სახელმწიფო გვერდში უდგას როგორც ინვესტორს, ისე იმ ობიექტზე მცხოვრებ მოქალაქეებს და თავაზობს ალტერნატიულ ფართებს. დაგეგმილი გვაქვს ახალი, დამატებითი კორპუსების მშენებლობა დევნილებისთვის. ეს მიმდინარე პროცესია და არც ერთი დევნილი უახლოეს პერიოდში არ დარჩება საცხოვრებელი ფართის გარეშე. ინვესტიციების მოზიდვისა და ინვესტორების დაინტერესებისათვის საჭიროა სახელმწიფომ კონკრეტულ ინვესტორს ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციის შემოსატანად და მათთვის საინტერესო ობიექტებს თავიანთი პროექტების განსახორციელებლად ვუთმობთ, ხოლო იქ თუ დევნილები ცხოვრობენ, აუცილებლად ვთავაზობთ ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს და ინვესტორსაც საშუალება აქვს განახორციელოს თავისი პროექტი.

-როგორც ვიცი, კურორტ მენჯს წლების განმავლობაში ეკონომიკის სამინისტროს დავალიანება გააჩნდა და ეს ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ინვესტორების „დასაფრთხობად". ამ კუთხით დღეს რა მდგომარეობაა?

-მე ვერ გაგცემთ პასუხს ამ კითხვაზე, რადგან ჩემთვის არაა ცნობილი, რა დავალიანებაზეა საუბარი და არ ვარ კომპეტენტური ამ საკითხში, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს რეგიონში აქტიურად ხდება აღწერა. როცა დიდ თანხებს მოითხოვს ობიექტი, ამ შემთხვევაში ინვესტორის მოძიება რთული საქმეა. მაგალითად, მენჯის შემთხვევაში ინვესტორს დევნილების გასახლება დამატებითი ხარჯები დაუჯდებოდა. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ გვერდით ვუდგევართ ინვესტორსაც და დევნილებს ვთავაზობთ ალტერნატიულ ფართებს. ჩინურ კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს ამ პროფილის ბიზნესში.

დასასრული 4- გვ.

# ვინმეს ბიზნესინტერესი თუ კანონის „მორჩილება"

## რატომ არ უკანონებენ მიწის ნაკვეთს მეწარმე მეცნიერებს?

ინგა გვასალია
ფოთი

წინა ხელისუფლების დროს ბიზნესის დატერორების, ბიზნესმენების გაკოტრებისა და ბიზნესის წართმევის ფაქტები ძალიან ხშირი გახლდათ. ახალი ხელისუფლება ბიზნესის წნეხისგან გათავისუფლებით იწონებს თავს, მაგრამ რეალურად, ხშირად საქმე არც ისე კარგადაა, როგორც ამას მავანნი მაღალფარდოვნად გვისურათხატებენ. ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად ჩვენი თანაქალაქელი სწავლული აგრონომები, ნიადაგმცოდნე-აგროქიმიკოსები, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები ვიოლეტა კუცია და ოთარ ქირია გახლავთ. როგორც ისინი გვეუბნებიან, 1993 წელს ფოთის მერის №630-ე განკარგულებით რეგისტრაციაში გაატარეს ადგილობრივი მუნიციპალური საწარმო „ნერგები", რომელსაც სახაზინო საწარმოს სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და რომლის დირექტორიც ვიოლეტა კუცია გახლდათ. როგორც კუცია ამბობს, 1998 წლიდან იჯარის ხელშეკრულებით 20 წლის ვადით დაკავებული აქვთ 5,4 ჰა მიწის ნაკვეთი, სადაც წლების განმავლობაში ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული და ხილი მოყავთ. ქალბატონი ვიოლეტა როგორც ამბობს, იმ დროისთვის საქართველოში ერთ-ერთი პირველი ბიოფერმერული მეურნეობა სწორედ მათ გააკეთეს და იმასაც იხსენებს, იმ უმძიმეს წლებში როგორ შეინარჩუნეს ტერიტორია: „მეურნეობის ტერიტორია სანახევროდ ღობეშემოძარცვული და ეკალბარდებით იყო დაფარული. აქ მდგარი ადმინისტრაციული შენობა საცხოვრებლად პრაქტიკულად უვარგისი გახლდათ. მოგეხსენებათ, არ იყო შუქი, წყალი და სხვა აუცილებელი პირობები. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საქმიანობა გვიწევდა ტოტალური ქურდობის ფონზე. ფინანსურადაც ძალიან გვიჭირდა - მიწის დასამუშავებლად ტექნიკა არ გაგვაჩნდა და დავიწყეთ ინვესტორის მოძიება. ნავსადგურის მეურნეობასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, მაგრამ სამი წლის შემდეგ დამხმარე მეურნეობა გაუქმდა და ისევ დავდექით პრობლემის წინაშე. 1997 წელს მეორე ინვესტორი გამოჩნდა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის სახით. თავდაპირველად მათთან მუშაობა ძალიან ნაყოფიერი გახლდათ, მაგრამ შემდეგ მან მეურნეობის წართმევა მოინდომა, როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ქართველი მეუღლის რჩევით. მაგრამ ფოთის მაშინდელმა მერმა ვანო ზოდელავამ არ დაუშვა ჩვენთვის ბიზნესის წართმევა და მისი დახმარებით გავაფორმეთ საიჯარო ხელშეკრულება 20 წლის ვადით".

როგორც მეცნიერი ბიზნესმენები ამბობენ, მათ ბიომეურნეობის განვითარებაში ყოფილი პრემიერმინისტრი ზურაბ ჟვანიაც უწყობდა ხელს, რადგან მისი სურვილიც ყოფილა ამ ტიპის მეურნეობების საქართველოში დანერგვა და განვითარება, მაგრამ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება. როგორც ცოლ-ქმარი ეჭვობს მათზე განხორციელებული სხვადასხვა სახის ზეწოლა და ხელოვნურად შექმნილი ბარიერები მათი ბიზნესის წართმევის მიზნით ხდებოდა. ამ ეჭვს მათ ისიც უძლიერებს, რომ ქონება დაუყადაღეს და გარკვეული სახის თანხა „შეაწერეს". წლების განმავლობაში მეურნეობაში შუქის შეყვანის უფლებასაც არ აძლევდნენ. როგორც ისინი ამბობენ, სულზე მოუსწრო არჩევნებმა და ახალი მთავრობის მოსვლის მერე მათთვის მიწის ჩამორთმევა ვეღარ მოასწრეს. ახალი მთავრობის პირობებში და მათ მიერ ბიზნესის ხელშეწყობის ხმამაღალი განცხადებების მერე, მეცნიერმა ცოლ-ქმარმა მეურნეობის პრივატიზება მოინდომა და წერილობით მიმართეს შე-

საბამის უწყებებს, მაგრამ ამ პროცესის ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხეს.

მეტიც, ჩვენს ხელთარსებული დოკუმენტით ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ხსენებული ნაკვეთის პრივატიზება მიზანშეუწონლად მიიჩნია, თუმცა იქვე დასძენს, რომ ამ ნაკვეთის იჯარით გაცემა კანონს არ ეწინააღმდეგება.

ქალაქის მერის ამ გადაწყვეტილებას „ამყარებს" სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსი გოჩა კანკავა: „სახელმწიფო ტერიტორიაა და რატომ უნდა დაურეგისტრირდეს? უკანონოდაა შეჭრილი და უნებართვოდ ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე. ეს მიწა სასოფლო - სამეურნეო დანიშნულებისაა, რომელიც თვითმართველობამ 2000 წლამდე გადასცა სახაზინო საწარმოს იჯარით. იმის დირექტორი გახლდათ კუცია. საწარმო ლიკვიდირებულია. შესაბამისად, მოხდა საჯარო რეესტრში ჩანაწერის გაუქმება ამ რეგისტრაციისა და დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად იჯარის გარეშე. ეს პიროვნება არანაირი უპირატესობით ან უფლებით არ სარგებლობს და სახელწიფოც ვალდებული არაა, კუციას დაუკანონოს ეს მიწა. რატომ ითხოვს მის დაკანონებას და რის საფუძველზე ითხოვს, ვერ ვხვდები. არ ვიცი, რა ბიოქიმიური პროცედურებია და ვის დაკვეთას ასრულებენ, ან სად არიან გაფორმებულები, ვერ ვხვდები". ასეთი აგრესიული დამოკიდებულების მიუხედავად, ვერც კანკია გაექცა კანონს და იჯარით მიწის ალე-

დასასრული 5- გვ.

# მაია ჩხარტიშვილი: „იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“

ქეთი ჭითავა
ფოთი

წლებია, ქართველი მეთევზეები თავიანთ ქვეყანაში მუშაობის უფლებისთვის იბრძვიან, მაგრამ ეს უფლება ჯერჯერობით ვერაფრით მოიპოვეს და არც მათ მიერ გამართულ რამდენიმე საპროტესტო აქციას მოყვა სასურველი შედეგი. მეთევზეები თევზჭერის ვადების შემცირებასაც აპროტესტებენ. ფოთში მრავალი ადამიანი მეთევზეობით ირჩენს თავს და ბევრი სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის ეს ერთადერთი შემოსავალია. ფოთის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მაია ჩხარტიშვილმა ამ საკითხის მოსაგვარებლად შესაბამის სამინისტროებს მიმართა და როგორც გავარკვიეთ შეთანხმებაც შედგება – თევზჭერის სეზონი ერთი თვით გაგრძელდა და აპირებენ კიდევ უფრო გაგრძელდეს ეს ვადები. ჩვენ ამ თემაზე და სხვა საკითხებზე სასაუბროდ მაია ჩხარტიშვილს მივმართეთ:

“უახლოეს მომავალში ვაპირებთ შევქმნათ სამუშაო ჯგუფი და მოვითხოვოთ, რომ მხოლოდ ერთი თვე იქნეს თევზჭერის აკრძალვა. სპეციალისტებიც ამავეს ადასტურებენ. რა თქმა უნდა, კანონი არ უნდა დაირღვევს, თევზი არ უნდა განადგურდეს და ეკოსისტემას ზიანი არ უნდა მივაყენოთ, მაგრამ ფოთი მეთევზეების ქალაქია და მეთევზეებს მხარში უნდა დავუდგეთ. ამიტომ, რაც ჩვენს ძალებს არ აღემატება, ყველაფერს გავაკეთებთ მათ დასახმარებლად. ასევე გარკვეული პროექტი გვაქვს მეშვიდე კილომეტრზე არსებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობასთან დაკავშირებით. საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით გაიგზავნა წერილი შესაბამის სამინისტროში და დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა. 2004-2005 წლებში მსოფლიო ბანკმა სარეალიბიტაციო ღონისძიებები ჩაატარა და მისი რეკომენდაციით უახლოესი 2 წლის განმავლობაში მონიტორინგი უნდა ჩატარებულიყო. მაშინ აბსოლუტურად არ იყო სახიფათო მდგომარეობა, მაგრამ ამჯერად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და აუცილებელია, საკითხის ძირფესვიანად შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, ამ ნაგებობის რეაბილიტაცია“.

მაია ჩხარტიშვილმა დანანებით აღნიშნა, რომ სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელების სურვილის მიუხედავად, მათი შესრულების საშუალებას წლევანდელი ბიუჯეტი არ აძლევს, მაგრამ, როგორც გვეუბნება, მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად შეეცდება ამ პროექტებისათვის თანხების გათვალისწინებას. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ერთ-ერთ უპირველეს მოსაგვარებელ საკითხად ფოთში ჯანდაცვის კუთხით შექმნილი პრობლემა მიაჩნია: „ვთვლი, რომ ფოთს საავადმყოფო არა აქვს. ძალიან მინდა ფუნქციონირებდეს ენერჯენსის სამსახური და უკვე თითქმის ყველაფერი მზად მაქვს. გავიარე ჯანმრთელობის სამინისტროში კონსულტაციები. თეორიულად ეს საკითხი მზად არის და პრაქტიკულად განხორციელება სჭირდება. ენერჯენსი ეს არის სამსახური, რომელიც, ვთვლი, რომ ჩვენს ქალაქს აუცილებლად უნდა ჰქონდეს“.

ჩვენი საუბრის დასასრულს ქალბატონი მაია ისევ თევზჭერისა და ნადირობის პრობლემებს დაუბრუნდა: „თევზჭერასთან დაკავშირებით რეგლამენტში ერთჯერადი ცვლილება შესულია და იმედია ეს საკითხი მოგვარდება დადებითად, რათა ყოველწლიურად არ დადგეს ეს პრობლემა, მაგრამ აქვე აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ მეთევზეებს ჩვენ არ დავპირებივართ პრობლემის აუცილებლად მოგვარებას, მაგრამ როგორც აღვნიშნე, ყველაფერს ვეცდებით - თუ არ ემუქრება თევზს გადაშენება და არ არის ამის საშიშროება, რასაც დაგვიდასტურებენ სპეციალისტები. მეთევზეებიც დაიღალნენ და არც ჩვენ გვჭირდება რამე გართულება და არც სამინისტროს. მიმაჩნია, რომ ამ ქალაქის თითოეული პრობლემა საკრებულოს ყველა წევრის პრობლემაა, ესაა ჩემი პოზიცია. ჩვენ შევქმნით სამუშაო ჯგუფს და ყველა დასკვნას გავაგზავნით სამინისტროში. თუ სპეციალისტები დაადასტურებენ, რომ 1 ივლისიდან შესაძლებელია თევზჭერა, მაშინ აქ უნდა შევიდეს ცვლილება რეგლამენტში. სხვანაირად იქნება მუდმივი უკმაყოფილება და შეშფოთების საგანი. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს საკითხი. პრობლემა არ უნდა შეეხოს თევზს. ყველანაირად უნდა შევისწავლოთ საკითხი. კეფალი არ უნდა გადაშენდეს. კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია. იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“

# სამეგრელოს რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იწყება

დასაწყისი 3-გვ.

ჩინელები თავიანთ ქვეყანაში ამ საქმით არიან ცნობილნი და გამოთქვეს სურვილი, რომ თავიანთი ტექნოლოგიები დანერგონ ჩვენს ქვეყანაშიც. ჩვენ ვმუშაობთ ორი მიმართულებით - ბალნეოლოგია-დაავადებათა კონტროლი და ტურიზმი. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ძვრა იქნება ჩვენს რეგიონში.

-იგეგმება თუ არა სხვა პროექტების განხორციელება რეგიონში?

-ყველაზე მნიშვნელოვანი პროქტი აბაშაში ხორციელდება მეცხოველეობის განვითარების კუთხით. ასევე მნიშვნელოვანი პროექტია თეთნულდის ტრასის განვითარების პროექტი, რომლის მთავარი დონორი საფრანგეთის მთავრობა გახლავთ. ფოთის ტურიზმის წინა პლანზე წამოწევაც დავიწყეთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მალთაყვის ზოლის განვითარების პროექტი. ვფიქრობ, ეს იქნება რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ჩვენ საბაზისოდ შევქმნით ინფრასტრუქტურას, მოვაწყობთ ბულვარს, მისასვლელ გზებს, საშხაპეებს, ადმინისტრაციულ შენობას და მერე ჯერი კერძო სექტორზეა. მალთაყვის ზოლი იქნება ტურისტის მოზიდვის საუკეთესო საშუალება რეგიონში. ამასთანავე ანაკლიაშიც გრძელდება პროექტები.

- წინა ხელისუფლების დროს საუბარი იყო ფოთსა და ანაკლიას შორის დამაკავშირებელ გზაზე, ამ კუთხით რა მდგომარეობაა?

-ეს ვირტუალური ხედვა გახლდათ კონკრეტული ჯგუფისა, რომელსაც არ ვიცნობ. მალთაყვის პროექტის განხორციელება დაიწყება. პარალელურად ვმუშაობთ კერძო სექტორთან, ერთ დიდ თანადაფინანსების ჯგუფთან, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროექტის განვითარებას. სასტუმროები, კაზინოები ნამდვილად სჭირდება პროექტის სრულყოფილად განხორციელებას და თუ გვექნება ამ დონის ინფრასტრუქტურული ზღვის სანაპიროს ზოლი, შემდეგ შესაძლებელი გახდება ფესტივალების გამართვაც. ჩამოვიყვანთ ჯგუფს, რომელსაც ქვია „ჯენ ფესტივალი“ ჯგუფი და გავმართავთ ღონისძიებას, რომელიც გააცნობს მალთაყვის ზოლს არა მარტო საქართველოს მოსახლეობას, არამედ საერთაშორისო ტურისტებს. ფოთში მალთაყვას თუ გავაკეთებთ, ჩათვალეთ, რომ ფოთი იქცევა ტურისტულად--- მიმზიდველ ქალაქად. მხოლოდ ტურისტული ცენტრის გახსნით ვერ განვავითარებთ ტურიზმს, თუ სხვა პროექტები არ იქნა განხორციელებული. უნდა გავაკეთოთ დასვენების ინფრასტრუქტურა შესაფერისი სტანდარტებით, რომელიც დააკმაყოფილებს სეგმენტს.

იმედია, ეს პროექტები განხორციელებადია და ერთ დროს „ყავარჯნების სავანედ“ წოდებული კურორტი მენჯი ისევ დაიბრუნებს თავის ფუნქციას და სახელს.

# სად წაილო სენაკის საკრებულოს თავმჯდომარემ ავტომანქანის საყიდელი ფული?

ეკა კაცია
ფოთი

სენაკის საკრებულოს ინიციატივით რამდენიმე ხანია მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში შექმნილია ექიმთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექსებულია შესაბამისი ლიცენზიის მქონე კადრებით და კვალიფიციური სპეციალისტებით. ექიმთა ჯგუფს შემუშავებული აქვს გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ყოველი კვირის ბოლოს ჩადიან სენაკის სოფლებში და სამედიცინო გამოკვლევებს უტარებენ მოსახლეობას. როგორც გავიგეთ, ამ პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხები არ არსებობდა, მაგრამ სენაკის საკრებულოს თავმჯდომარემ ხვიჩა ჯიშკარიანმა უარი განაცხადა ახალი სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენაზე და მისთვის საჭირო თანხები ამ პროექტისკენ მიმართა. როგორც მანვე გვითხრა: „მართალია, სახელმწიფომ საყოველთაო დაზღვევა გააკეთა და ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, მაგრამ ამ პროექტის განხორციელება დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისათვის, რადგან ამ პროექტით ისარგებლებს ყველა კატეგორიის თუ ფენის მოსახლე (მზრუნველობამოკლებულები, სოც.დაუცველები, პენსიონერები, დევნილები, მოზარდები და ა.შ). ხშირად სოფლებიდან ქალაქში გამოკვლევაზე ჩამოსვლა უჭირთ და მათთან ადგილზე მისვლა ექიმების ჯგუფისა, ვფიქრობ, ჩვენი მოსახლეობისთვის შედავათი და სასარგებლო იქმნება“. აღნიშნული პროექტი მოიცავს გასინჯვა-გამოკვლევას, დიაგნოზს, ანალიზს, კონსულტაციას და რეცეპტს.

პროექტის განხორციელების პროცესში უშუალოდ არის ჩართული სოფლის ექიმი და მასთან კოორდინირებული მუშაობით ხდება წინასწარი სამუშაოების ჩატარება.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ სპეციალისტები: უბნის ექიმი, ენდოკრინოლოგი, ნევროლოგი, რევმატოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ექოსკოპია, ექიმ-ლაბორანტი, ექთან-ლაბორანტი, ექთან-კარდიოლოგი, პარაზიტოლოგი, ექთან-პარაზიტოლოგი.

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 9 თვეს. წინასწარი დაგეგმილი გრაფიკით კომპლექსური სამედიცინო შემოწმების პირველი ეტაპი დასრულდება მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, სექტემბრიდან კი დაიწყება მეორე ეტაპი. ამ ეტაპისათვის სამედიცინო კომპლექსური მომსახურეობით ისარგებლა 4 000 ადგილობრივმა მაცხოვრებელმა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (ქალაქი 673 ბავშვი, თემებში 414 ბავშვი) ექიმ პარაზიტოლოგის გამოკვლევები ჰელმინთებზე, გაისინჯა ათას ოთხმოცდაშვიდი აღსაზრდელი, მათგან შვიდასამდე ბავშვი აღმოჩნდა დაინვაზირებული. ექიმ -პარაზიტოლოგმა წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა არსებულ ვითარებაზე და ადგილობრივი თვითმმართველობა მუშაობს არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

აღნიშნული პროექტით მოსახლეობა დიდად მადლიერია, რადგან ისინი იღებენ კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას და იმედოვნებენ მომავალშიც გაგრძელდება მსგავსი პროექტები. მათი თქმით ამ პროექტმა მისცა მათ შესაძლებლობა ადგილზე, ქალაქში წაუსვლელად გაევლოთ სამედიცინო შემოწმება. „მივესალმებით შვილო ასეთი კეთილი საქმის წამოწყებას. ქალაქში გვიჭირდა ჩასვლა, რადგან ამისთვის დრო და რაც მთავარია ფინანსებიც გვჭირდებოდა. ზოგჯერ ერთი დღეც არ იყო საკმარისი რამდენიმე ექიმთან რომ გამევლო კონსულტაცია და ამისთვის მეორეჯერ უნდა წავსულიყავი. ეს ყველაფერი კი ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ პროექტით კი საშუალება გვეძლევა ადგილზე გავესინჯოთ. მადლობის მეტი რა გვეთქმის თუ ასეთ სიკეთეს გაგვიკეთებენ და იზრუნებენ ხალხზე?”- ასეთია ექიმებთან შესასვლელად რიგებში მდგომი ადგილობრივების მოსაზრება.

როგორც გავიგეთ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ხვიჩა ჯიშკარიანი, საკრებულოს სხვა წევრებთან და ექიმებთან ერთად გადის შესაბამის თემში და ხვდება მოსახლეობას, იმართება სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობა, პრობლემების წარმოჩენა და მათი მოგვარების გზების ძიება.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე გვეუბნება, მომავალი წლისთვის დაგეგმილი აქვს ამ პროექტის გაგრძელება: „ამ გასვლებმა მკაფიოდ დამანახა, რომ ეს აუცილებელი პროექტი იყო. თავიდან ცოტა მოწინააღმდეგეებიც კი მყავდა, მაგრამ ახლა ყველა დარწმუნდა მის სისწორეში. ვაპირებ, გამოვნახო თანხები, რათა გამოწერილი მედიკამენტებითაც დავეხმარო მოსახლეობას“. მისივე თქმით, მოსახლეობისათვის საჭირო სხვა სოციალური პროექტების განხორციელებაც იგეგმება.

# გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტზე „გმს„ მითითება სავალდებულოა

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

დიდი ხანი არ გასულა, რაც მსოფლიო ბაზარზე „ახალი“ პროდუქტი გაჩნდა – გენმოდიფიცირებული. ამ სახის პროდუქტების შემოტევას ვერც საქართველო გადაურჩა და თითქმის ყველა რეგიონის ბაზარში არსებობს იგი. მოსახლეობა ეჭვით უყურებს ყველა პროდუქტს, რადგან გაურკვეველია, გენმოდიფიცირებულია თუ არა, რამდენად დაცულია მოქალაქის უსაფრთხოება და არის თუ არა გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე–სურსათზე ეტიკეტი. როგორც ვიცით, 1 ივლისიდან ძალაში შევიდა კანონი ”სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ”. ახალი კანონის მიზანია მომხმარებლის ინფორმირება სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის შესახებ. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ მომხმარებელს ექნება არჩევანის თავისუფლება, რადგან იქნება ინფორმირებული სურსათი გენმოდიფიცირებულია თუ არა. აღნიშნული კანონი არეგულირებს ეტიკეტზე განთავსებულ ინფორმაციას. კერძოდ, თუ სურსათის შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9%–ზე მეტია, მაშინ ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა ”გმ“. კანონის მიხედვით, ეს ნიშანდება მომხმარებლისთვის ადვილად აღქმადი და თვალსაჩინო უნდა იყოს. თუკი სურსათის ეტიკეტირება შეუძლებელია, თანმხლებ დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია გენმოდიფიცირებულობის შესახებ. ეტიკეტირების წესის დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით ჯარიმდება 5000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება და ბიზნესოპერატორს 10 000 ლარის გადახდა მოუწევს. სურსათი, რომლის ეტიკეტზეც არ იქნება მითითებული ”გმ” და ლაბორატორიული კვლევით აღმოჩნდება გენმოდიფიცირებული, ექვემდებარება განადგურებას. თუ ბიზნესოპერატორი არ გაანადგურებს ასეთ სურსათს, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით იგი დაჯარიმდება 10 000 ლარით. რამდენადაა ინდმეწარმე/გამყიდველი ინფორმირებული ახალი კანონის შესახებ, ამის გასარკვევად მივმართეთ ფოთის ბაზრის შპს „ლუკას”–ს დირექტორს თეა ბელქანიას. ამ უკანასკნელის თქმით: “როდესაც ძალაში შევიდა ეს კანონი, ყველა ინდმეწარმეს მიუვიდა ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე. ბაზრის ადმინისტრაციას არ ქონდა არანაირი ვალდებულება, რომ ინდმეწარმისათვის ინფორმაცია მიგვეწოდებინა, მაგრამ თითქმის ყველა ინდმეწარმეს მაინც გავესაუბრე. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეტაპზე პროდუქციის 80%–ს აქვს ქართული წარწერა. ზოგ რაღაცეებს იპოვით დახლზე ეტიკეტის გარეშე, მაგრამ ვფიქრობ, 2-ოდე თვეში მათაც ექნება ქართული წარწერა. ჩვენ გადავამოწმეთ, როცა დისტრიბუციას შემოაქვს პროდუქცია, თუ არ აქვს პროდუქციას წარწერა, ისინი ტოვებენ სტიკერებს და შემდეგ გამყიდველები აკრავენ პროდუქციაზე. თითქმის მოგვარებული გვაქვს ეს პრობლემა.

არის საქონელი, რომელსაც არ აქვს ეტიკეტი, ეს ძირითადად რუსულ პროდუქციას ეხება, მაგრამ მომავალში მათაც აუცილებლად ექნება. რაც შეეხება ხილ- ბოსტნეულს, ამას დიდი ლაბორატორია ამოწმებს, ჩვენ ამ ეტაპზე ნიტრატუმერი არ გავაქვს შესამოწმებლად, მალე გვექნება და უკვე ჩვენ შევძლებთ ხილის შემოწმებას, მაგრამ, დამერწმუნეთ ამის გადამოწმება რომ მოხერხდეს ბაზარზე, სავარაუდოდ, სარეალიზაციოდ ალბათ ვერ გავა იმიტომ, რომ ყველა ხილი ნიტრატებს შეიცავს, განსაკუთრებით საზამთროშია ძალიან მაღალი ნიტრატები და თურქულ პროდუქტში. რა თქმა უნდა ჩვენც ვაკონტროლებთ რომ პროდუქტზე იყოს ქართული წარწერები, ეს თვითონ ხელისუფლებამ ვისაც უშუალოდ ეხება ძირითადად მან უნდა აკონტროლოს.

ინდმეწარმე არ არის ვალდებული, აკრავდეს სტიკერებს. თვითონ კომპანიას არ უნდა შემოქონდეს სტიკერების გარეშე სარეალიზაციოდ და არ უნდა ყიდდეს. ინდმეწარმეს ყველას არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი განათლება რომ ეს იცოდეს, ზოგს იმის საშუალებაც არააქვს რომ კომპიუტერიდან მოიძიოს ასეთი ინფორმაცია, ის მხოლოდ ყიდის პროდუქციას რადგან არააქვს სხვა გამოსავალი. მყიდველს არუნდა მოეთხოვებოდეს ამაზე პასუხი, ამას უნდა სთხოვდნენ შემომტან კომპანიებს ანუ ფირმებს რომელიც აწარმოებს ამ პროდუქციას და ამარაგებს მთლიანად ბაზარს. ბევრმა გამყიდველმა არც კი იცის ეს რას ნიშნავს და არც არის აუცილებელი ამ მხრივ მათ ქონდეთ განათლება, მაღაზიის გამყიდველი ვერ იქნება ყველაფერზე პასუხისმგებელი. ზოგადად არსებული ფონიდან გამომდინარე კარგი იქნებოდა თუ კანონში შევა ცვლილება რომ ინდმეწარმე არუნდა ჯარიმდებოდეს სტიკერების გამო, სანქცია უნდა ვრცელდებიდეს მხოლოდ კომპანიაზე და დისტრიბუციაზე ვინც უშუალოდ არის მომწოდებელი, სანქციები არის ძალიან მაღალი. მე რამდენადაც ვიცი 1000 ლარამდეა და უფრო ზევით, აქედან გამომდინარე შეიძლება ვიღაცას ქონდეს სულ 1000 ლარის საქონელი და რაღაც 10 ლარიანი საქონლის გამო ის ათასი ლარიც დაკარგოს, კარგია რომ არის ამაზე კონტროლი. მაგრამ, როცა ნახავს სურსათის ეროვნული სააგენტო პროდუქციას, უნდა ხდებოდეს მისი მაღაზიიდან გატანა და უნდა ხდებოდეს მომწოდებლის მოძიება, იმიტომ რომ ყველა ინდმეწარმეს შემოტანილ პროდუქტზე გააჩნია სასაქონლო ზედნადები და ამ ზედნადებით უნდა ხდებოდეს მომწოდებლამდე გასვლა და ამის გამო რიგითი ინდმეწარმე არუნდა ჯარიმდებოდეს. კანონში სასურველი იქნება რომ ეს დამატებითი ცვლილება შევიდეს. იმიტომ რომ ეს ძალიან ტვირთად დააწვება თითოეულ ადამიანს. სტატისტიკის მიხედვით ისედაც ყოველ წელს მცირდება მუშაობა. რაც შეეხება ხილ ბოსტანს, შემომტანი ვინც არის ის ფლობს ამაზე ინფორმაციას. პირადად მე როგორც ობიექტის ხელმძღვანელი და ჩემზე დაქვემდებარებული ძალიან ბევრი ინდმეწარმეა ადამიანურად ვაფრთხილებ, რომ არის ამაზე ჯარიმა და სასურველია იყოს მოწესრიგებული. სანქცია უნდა იყოს მწარმოებელზე, შემომტანზე და დისტრიბუტორზე ეს იქნება სამართლიანი.

ჩვენ გავესაუბრეთ ინდმეწარმეებსაც. მათ თითქმის ყველამ იცის ამ კანონის შესახებ, სტიკერებთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ თავად კომპანიას და ფირმას არ უნდა შემოქონდეს სტიკერის გარეშე პროდუქცია, რომელსაც არ აქვს სტიკერი დისტრიბუციისგან დატოვებულ სტიკერებს თვითონ აკრავენ.

# ვინმეს ბიზნესინტერესი თუ კანონის „მორჩილება“

## რატომ არ უკანონებენ მიწის ნაკვეთს მეწარმე მეცნიერებს?

დასაწყისი 3-გვ.

ბის შესაძლებლობა „დაუშვა“, თუმცა როგორც აღნიშნა ამასაც თავისი პროცედურები ქონია. კერძოდ, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს.

სხვათა შორის, როგორც ჩვენი რესპოდენტები ამბობენ, გოჩა კანკია წინა ხელისუფლების დროსაც აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა და მის მიმართ გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამენ. კერძოდ, იგი ხშირად „უწუნებდა“ მათ მეცნიერულ მუშაობას და წარმოებას და ამ საქმიანობისთვის სოლიდური თანხით დაჯარიმებით ან ციხეში ჩასმით ემუქრებოდა, რაც წინა ხელისუფლების დროს ფრიად აპრობირებული მეთოდი გახლდათ. კანკავა ციხეში ჩასმის მუქარას რა თქმა უნდა, უარყოფს, მაგრამ დაჯარიმებით დამუქრებას ადასტურებს: „სად მიაქვთ წარმოებული პროდუქტი? რა ექსპერიმენტებს აწარმოებენ? გადასახადს დაგარიცხავთ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვისო კი ვუთხარი, მაგრამ დამჭერი ორგანო მე არ გახლავართ, ამით რომ დავმუქრებოდი. დაჯარიმდება, რადგან უკანონოდ შეჭრილია სახელმწიფო ქონებაში და თუ განახორციელა სამეწარმეო საქმიანობა, ამის დამტკიცების შემთხვევაში, დაერიცხება ქირა საბაზრო ღირებულებით“.

ჩვენ კანკავას მეწარმე ცოლ-ქმრის ეჭვის შესახებაც ვკითხეთ. მან არც უარყო და არც დაადასტურა, რომ შესაძლოა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რომელიმე წარმომადგენელს თვალი ეჭიროს 5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, რომელიც კარგად განაშენიანებულია და ზღვის პირზე მდებარეობს. „შეიძლება მართლაც თვალი ქონდეს ვინმეს დადგმული და უნდოდეს, მაგრამ ჯერ არავის შემოუტანია განცხადება ამაზე (?!)“.- გვითხრა კანკავამ. საუბრის ბოლოს კანკავამ წარმოუდგენლად მიიჩნია მეცნიერი- მეწარმე ცოლ-ქმრისათვის აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობა მისი სიძვირის გამო, მაგრამ იჯარით კვლავ გადაცემა არ გამორიცხა და ამ ეტაპზე უარის მიზეზად დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენა დაასახელა.

მეცნიერები კი ამბობენ, რომ მსგავსი სახის ბიომეურნეობები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობით სარგებლობს. აღნიშნული ბიომეურნეობა გაწევრიანებულია მსოფლიო ორგანულ მეურნეობათა დახმარების ასოციაციაში. ამ ფონზე მათ ხშირად სტუმრობენ ფერმერები და სტუდენტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან და ამერიკიდან. სტუმრები აღტაცებაში მოდიან ამ მიწის ნაკვეთის განაშენიანებით და ხშირად მუშაობენ იქ. ჩვენი სტუმრობის დროსაც ჰოლანდიელი სტუდენტი გოგონა ფეხშიშველა იდგა ნაკვეთში და მუშაობდა. მეცნიერ ცოლ-ქმარს უამრავი საქართველოსა და კერძოდ ფოთისთვის აუცილებელი და საჭირო პროექტები აქვთ დამუშავებული და გრანტებსაც იგებენ. ამ ეტაპზეც როგორც ისინი გვიმტკიცებენ მათ შეუძლიათ საკმაოდ სოლიდური გრანტის მოპოვება, მაგრამ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში არქონა შემაფერხებელი ფაქტორია. როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერების მიწის ნაკვეთს დიდი მოწონება აქვს უცხოელ სტუმრებში და როგორც ხშირად ხდება, საკუთარ ქვეყანაში დაუფასებლები არიან. მეცნიერი მეწარმეები დანებებას ნამდვილად არ აპირებენ და საქართველოს მთავრობის მეთაურთან შეხვედრასაც გეგმავენ დახმარების თხოვნის მიზნით.

# ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲚᲮᲣᲠ ᲢᲠᲘᲝᲡ

**ᲜᲐᲜᲐ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ**
**ᲡᲔᲜᲐᲙᲘ**

სენაკში, რევაზ ლაღიძის პრიზისა და ოქროს მედლის მფლობელ,საქართველოს სახალხო ანსამბლს, მრავალი კონკურსისა და ფესტივალების ლაურეატ „კოლხურ ტრიოს'' ვარსკვლავი გაუხსნეს. ასე გამოხატა სენაკის საზოგადოებამ 40 წლოვანი მდიდარი და გამორჩეული შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე კოლხური სიმღერების უბადლოდ შემსრულებელი ტრიოსადმი თავისი მოწიწება და მადლიერება.
1975 წლიდან დონარა მიმინოშვილის, დარეჯან ფაჩულიას და ბელა ქამადაძის შემადგენლობით „კოლხური ტრიოს'' გამოჩენამ უმალვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. მრავალი უნიკალური სიმღერის წარმოჩენით და შექმნით მათ გაამდიდრეს და განუმეორებელი ხიბლი შესძინეს ქართული ხალხური სიმღერის საგანძურს. 40 წელია, მეგრული სიმღერების მოყვარულებს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ქალთა ტრიო. „კოლხურმა ტრიომ" 40 წლის განმავლობაში უამრავი კონცერტი გამართა და მომხიბლავი ქართული ჰანგებით, არაჩვეულებრივი ხმით არაერთი მსმენელი მოაჯადოვა.
ტრიოს უნიჭიერესი მომღერლის, დონარა მიმინოშვილის გარდაცვალების შემდეგ, მის ტრადიციებს ანსამბლში მისი ქალიშვილი ეკა კოღუა აგრძელებს. ტეხურის ნაპირებიდან ამღერებული ქალბატონები დარეჯან ფაჩულია, ბელა ქამადაძე და ეკა კოღუა მშობლიური სენაკის სახელის შორს გატანას დღესაც ემსახურებიან.

აღსანიშნავია ტრიოსწვლილი უძველესი მეგრული სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეშიც. ხსენებული შემადგენლობით წარსდგა აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „კოლხური ტრიო" საიუბილეო საღამოზე, სადაც მსმენელს ჰქონდა ბედნიერება, ისევ დამტკბარიყო მათი შემოქმედებით. ღონისძიებას სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მისაბიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ხვიჩა ჟიშკარიანი, გამგეობის პასუხისმგებელი პირები, საკრებულოს წევრები, სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ.
ანსამბლს შემდგომი წარმატებები უსურვა საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ მისაბიშვილმა. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა და სიგელები გადასცა მომღერლებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელით მომღერლებს მიესალმა საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ირინე დგებუაძე. საიუბილეო საღამოზე მოწვეულმა სტუმრებმა უამრავი საქებარი სიტყვა და მადლობა არ დაიშურეს ანსამბლის წევრების მიმართ. ამავე დროს მათ თითოეული გამომსვლელისაგან საჩუქრებიც მიიღეს. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საზოგადოებისთვის ცნობილი მოღვაწეები და შემოქმედებითი კოლექტივები ულოცავდნენ და სიმღერებს უძღვნიდნენ ტრიოს წევრებს. საღამოს დასასრულს, დრამატული თეატრის წინ ფიიერვერკების ფონზე საზეიმოდ გაიხსნა „კოლხური ტრიოს" ვარსკვლავი.

# ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲞᲐᲚᲘᲐᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პალიასტომის ტბა, კოლხეთის დაბლობის უნიკალური ლანდშაფტის ორგანული შემადგენელი ნაწილია მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ პალიასტომის ტბა დაახლოებით 3500-4000 წლის წინ წარმოიშვა ძველ შავზღვიურ ლაგუნის ადგილზე. პალიასტომის ტბა ყოველთვის წარმოადგენდა ზოგადად საზოგადოებისა და მკვლევართა დიდი დაინტერესების ობიექტს, რაც უპირველესად განპირობებული იყო იქტიოფაუნის საერთო რაოდენობითა და სახეობების სიმრავლით, აგრეთვე რეწვის რენტაბელობით. შეიძლება სრული პასუხისმგებლობით ითქვას, რომ საქართველოში არცერთ ტბაზე არ ჩატარებულა იმდენი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები რამდენიც პალიასტომის ტბაზე. ტბის მეცნიერული შესწავლა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა პერიოდი, როცა მეთოდურად დინამიკაში ისწავლებოდა ტბის ჰიდრობიოლოგიური, ჰიდროქიმიური თვისებები, აგრეთვე იქტიოფაუნის სახეობრივი შემადგენლობა და მარაგი, ბიოეკოლოგია, სანიტარულ ეპიზოოტური მდგომარეობა და სხვა.
ჩვენ ხელთ არსებული სტატისტიკური მასალით მე-20 საუკუნის დასაწყისში მარტო კეფლისნაირთა ჯიშის თევზებს წელიწადში მოიპოვებდნენ 320 ტონაზე მეტს, ამასთან საინტერესოა ის გარემოება, რომ თევზის საერთო წერილში 40% მოდიოდა კეფლისნაირებზე, 295 ფარგაზე, 10§ კობრზე და 5 % ლოქოზე. ი. პუზანოვის მიერ 1940 წელს ჩატარებული კვლევებით პალიასტომის ტბაში თევზების 39 სახეობა იქნა დაფიქსირებული (მათ შორის იყო ზუთხისნაირთა ჯიშის თევზები). კვლევებით დადგენილია, რომ პალიასტომის ტბაში შემოსული თევზების ზღვის სახეობები გამოირჩევიან სწრაფი ზრდით და განსაკუთრებით კარგი გემოთი, რაც საკვები ბაზის სიუხვითა და ნაირსახეობებით იყო და არის გამოწვეული ( ზღვისა და მტკნარი წყლის პლანქტონი და ბენთოსი, პალიასტომის ფსკერზე დალექილი საპროპელი). გარდა აღნიშნულისა პალიასტომის ტბა და მისი აუზი წყლისა და ჭაობის ადგილობრივი და გადამფრენ ფრინველთა გამოსაზამთრებელი დასასვენებელი და საბუდარი ადგილია, რის გამოც 1996 წლიდან კოლხეთი დაბლობის ჭარბტენიანი ტერიტორიების უმეტესი ნაწილი, მათ შორის პალიასტომის ტბა, რამსარის სტატუსის მქონე ტერიტორიად არის გამოცხადებული და შესაბამისად საერთაშორისო დაცვის ობიექტია. აღსანიშნავია სხვა გარემოებაც: პალიასტომის ტბა და მისი აუზი უაღრესად მნიშვნელოვანი და საკმაოდ ვრცელი რეგიონია მთელ შავი ზღვისპირეთში, სადაც იდეალური ბუნებრივი პირობებია კეფლისნაირთა ძვირფასი ჯიშის თევზების ზრდა-განვითარებისათვის. წელიწადის თბილ პერიოდში ზღვიდან ტბაში შემოსული კეფლის ლიფსიტები (არ არის გამორიცხული რომ აღნიშნული ჯიშის თევზები პალიასტომის ტბაშიც მრავლობდეს), აქ იზამთრებს და გვიან შემოდგომით როცა წყლის ტემპერატურა დაეცემა თევზები ისევ ზღვაში ბრუნდებიან. ეს ციკლი მეორდება ყოველწლიურად, გარდა აღნიშნულისა წყლის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო ინსტიტუტის კვლევების გამოთქმულია ვარაუდი იმის თაობაზე ,რომ პალიასტომის ტბაში ქაფშიაც მრავლდება, მათი ვარაუდი ემყარება იმ გარემოებას რომ ბენთოფაუნის სინჯებში აღმოაჩინეს 15-20 მმ ზომის ქაფსიის ლიფსიტები. ჩვენი აზრით ეს ვარაუდი სიმართლესთან ახლოსა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პალიასტომის ტბაში თითქმის მთელი წლის განმავლობაში უამრავი ქაფშიაა. სასურველად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხებით მეტად დავაინტერესოთ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გარემოს დამცველი ორგანიზაციები.
ბოლო 50-60 წლის განმავლობაში პალიასტომის ტბის თევზპროდუქტიულობა მნიშვნელოვანად შემცირდა, ზოგადად საზოგადოებაში და სამეცნიერო წრეებში დამკვიდრდა აზრი, რომ პალიასტომის ტბაში იქტიოფაუნის შემცირება ძირითადად ტბის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით და ჭარბჭერებით არის გამოწვეული. (წყლის მარილიანობის ხელოვნური გაზრდა, აგრესიული ბიოგაზების გამოყოფა, წყლის მღვრევადობის მატება და ა.შ.) დამტკიცებულია, რომ წყლის მარილიანობის მომატებას ტბის იქტიოფაუნის სახობრივი ცვლილებები არ გამოუწვევია, მაგრამ თავდაპირველად მნიშვნელოვნად შემცირდა მტკნარი წყლის თევზების რაოდენობა, რაც მარილიანობის გამო მათი საკვები ბაზის (მტკნარი წყლის პლანქტონი და ბენთოსით) გაღარიბებამ გამოიწვია. უდაოა რომ მარილიანობის მომატების გამო შემცირდა მტკნარი წყლის პლანქტონი და ბენთოსი, მაგრამ იმავდროულად ტბაში გაიზარდა მათი ზღვის და მლაშე წყლის ფორმები. იგივე შეიძლება ითქვას თევზების შემთხვევაში, ამასთან ჩამოყალიბდა ტბის თავისებური ბიოზენზონი და მოხდა ზღვისა და გამსვლელი თევზების ადაპტაცია მომლაშო წყლის პირობებისადმი, რაც შეეხება ტბაში აგრესიული ბიოგაზების კონცენტრაციის ზრდას, ამ ფაქტს მართლაც აქვს ადგილი, განსაკუთრებით ტორფის ყოფილი კარიერებიდან ბიოგენური ელემენტებით გაჯერებული წყლის ტბაში შემოდინებით. საჭიროდ მიგვაჩნია დადგინდეს წყლის რომელ პერიოდში ჭარბობს მათი კონცენტრაცია წყალში, იქტიოფაუნაზე მიყენებული ზარალი და სხვა. ჩვენი აზრით ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც: წელიწადის თბილ პერიოდში (მაისი, ივნისი, ნაწილობრივ ივლისიც), როცა ტბის წყლის ტემპერატურა მაღალია მოსული ატმოსფერული ნალექების დეფიციტის ფონზე ტბიდან ზღვაში და პირიქით დინება პრაქტიკულად არ ხდება ანუ უმნიშვნელოა პალიატომის ტბაში იწყება ე.წ. წყლის „ყვავილობა''. ტბის მნიშვნელოვანი ნაწილი იფარება მწვანე წყალმცენარეებით, ამ კონტექსში საინტერესოა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ.უნივერსიტეტის ბიოლოგების კვლევა, რომ ამ წყალმცენარეთა შორის არსებობს ისეთი სახეობები, რომელთა გამრავლებას თან ზდევს ისეთი ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფა, რომლებიც თევზების პარალიზებას იწვევს. იქნებ ეს მოვლენა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში პალიასტომის ტბაში თევზები (განსაკუთრებით კეფლისნაირები) პრაქტიკულად არ გვხვდება.
ბოლო პერიოდში პრასაში ხშირად იბეჭდება სტატიები იმის თაობაზე, რომ პალიასტომის ტბის სიღრმის თანდათანობითი კლების გამო ის ჭაობად იქცევა და შესაბამისად მას გაქრობა ემუქრება.1950 წლიდან დღემდე ჩვენ მიერ მოპოვებული ლიტერატურული მასალებით პალიასტომის ტბის საშუალო სიღრმე 2.2 მ-დან 2.6-მდე, ხოლო მაქსიმალური სიღრმე 4 მეტრს არ აღემატება. ფაქტია, რომ პალიასტომის ტბაში სეროზიული პროცესების შედეგად მიმდინარეობს ორგანო-მინერალური ნარჩენების დაგროვება. ამ პროცესს განსაკუთრებით შეუწყო ხელი ტბის აუზში ტორფის ამოღება, მაგრამ შემოდგომა, ზამთრის პეროიდში ძლიერი აღმოსავლეთის ქარების მოქმედების შედეგად ტბის ფსკერზე დალექილი მასა ძლიერ დინებას ჩააქვს ზღვაში, ეს პროცესი მეორდება წლიდან წლამდე. მნიშვნელოვნად დაიწევს, თუმცა გლობალური დათბობის გამო ეს ნაკლებად მოსალოდნელია. ამ ფონზე ჩვენი აზრით ყურადსაღებია სხვა გარემოება. წლეების განმავლობაში მეთევზეთა ნაწილი თევზის მოზიდვის მიზნით ტბაში ყრიდა და სამწუხაროდ ეხლაც ყრის სხვადასხვა საგნებს, ე.წ ''როკებს'', როცა თევზსარეწი ბრიგადები მუშაობდნენ ეს პრობლემა მეტნაკლებად მოგვარებული იყო. ეხლა კი მეთევზეთა რაოდენობის მკვეთრად გაზრდის პარალელურად სულ უფრო და უფრო მატულობს ტბაში ჩაყრილი „როკების"რაოდენობაც, რაც როგორც პირდაპირ ისე ირიბად ხელს უწყობს ტბის ამოვსებას და გარკვეულ პრობლემასაც უქმნის ვიზიტორებს, რომლებიც ტბაზე მოტორიანი ნავებით გადაადგილდებიან.
ბოლო პერიოდში განსაკუთრებით შემცირდა პალიასტომის ტბის თევზპროდუქტიულობა, რაც ჩვენი აზრით მეტწილად ადამიანის სამეურნეო საქმიანობითაა გამოწვეული. განსაკუთრებული ზიანი ტბას მიადგა 1990-1998 წლებში, დროის ამ მონაკვეთში ტბაში მთლიანად ამოწყდა ფარგა და კაპარჭინა. პალიასტომის ტბის ეკოსისტემაზე ადამიანის უარყოფითი სამეურნეო საქმიანობის შემცირების ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ტბაში რეწვის ტრადიციული ბრიგადული მეთოდის აღდგენა მიგვაჩნია. ამასთან ბრაკონიული მეთოდებით ჭერის აკრძალვის ფონზე უნდა მოხდეს მდ.რიონის ტბასთან დამაკავშირებელი ხელოვნური არხის აღდგენა, რითაც შესაძლებელია ტბის ბუნებრივად დათევზიანება მტკნარი წყლის იმ სახეობებით, რომლებიც ტბაში ამჟამად არ გვხვდება, მაგრამ მდ. რიონში ჯერ კიდევ არის. პარარელურად შეიქმნება ხელსაყრელი პირობები მტკნარი წყლის ეკოსისტემის განვითარებისათვის.
ამჟამად მეთევზეთა სათემო კავშირი „მალთაყვა 2005'' ქ.ფოთში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს საგრანტო პროექტს, რომელიც პალიასტომის ტბასა და მის აუზში რეწვის ტრადიციული მეთოდის აღდგენას გულისხმობს. უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და აღნიშნული ფონდის ხელმძღვანელობას , აგრეთვე კომისიის ყველა წევრს ვინც მხარი დაუჭირა ჩვენს პროექტს ფოთელი მეთევზეების სახელით გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ.

ო. ქირია სათემო კავშირ „მალთაყვა-2005"-ის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის დოქტორი, მთავარი მეცნიერ მუშაკი.

# ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ-1913„ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ

ფოთის ცენტრალურ სტადიონზე საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი-1913„ - ის ხელმძღვანელებამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც მთავარმა მწვრთნელმა ზაზა ინაშვილმა და გენერალურმა დირექტორმა თემურ ბარქაიამ ახალი მწვრთნელები და ცხრა ახალი ფეხბურთელი წარადგინეს - მწვრთნელები გიგა გვიჩია და დათო მახარაძე. ფეხბურთელები - მურად აფხაზავა (ოზურგეთის „მერცხალი),იონა კალაჯიშვილი (თბილისის „ვიტ ჯორჯია“), მამუკა ღონღაძე (ქუთაისის „ტორპედო“), გოჩა კვარაცხელია (ბოლნისის „სიონი“), ცოტნე ქებურია (ბოლნისის „სიონი“), თენგიზ გოროზია (გორის „დილა“), ნიკიტა პოლულიახი (დონეცკის „მეტალურგები“), ლევან კუხალეიშვილი (თბილისის „ვიტ ჯორჯია“), ამბერკი ინჯიბაშვილი („გაგრა“).

პრესკონფერენციაზე ასევე ისაუბრეს გუნდში არსებულ მდგომარეობაზე და ახალი საფეხბუთო სეზონისათვის მზადებაზე.

კლუბის მესვეურები კმაყოფილებას გამოხატავენ არსებულ პირობებში და მცირე დაფინანსების ფონზე გუნდის მიღწევებით და იმედოვნებენ, რომ ახალი სეზონიდან გუნდი უკეთეს შედეგებს დადებს.

24 ივლისს გუნდი თორმეტდღიან შეკრებაზე თურქეთის ქალაქ ერზრუმში გაემგზავრება. ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩს ფოთელი ფეხბურთელები 14 აგვისტოს სტუმრად გორში, დილასთან გამართავენ.

ფეხბურთელებს ქალაქის მერი ირაკლი კაკულია და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურიაც შეხვდნენ.

ფოთის მერის განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ფოთელ ფეხბურთელებს შეუქმნას სათანადო პირობები უმაღლეს ლიგაში ღირსეული ადგილის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის„ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გამოსავალი ვიპოვოთ, იქ სადაც დაირწა ფეხბურთის აკვანი იმ ქალაქის გუნდი უნდა შევინარჩუნოთ უმაღლეს ლიგაში“- განაცხადა კაკულიამ.

ირაკლი კაკულიამ პირობა მისცა ფეხბურთელებს, რომ გახდება მათი აქტიური მაყურებელი, სტადიონის დასავლეთი ტრიბუნა კი თავისი ინფრასტრუქტურით, წლის ბოლოსათვის დასრულდება და გუნდი საშინაო მატჩების საკუთარ მოედანზე ჩაატარებას შეძლებს.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

### ᲨᲞᲡ „ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ„ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ„

### ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

### ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 2015-2016 ᲡᲐᲡ�წ. ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

### ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

1. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ
2. ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘ
3. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ
4. ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘ
5. ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
6. ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ, ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ
7. ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
8. ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲐ (ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ)

### ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ

ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ 2000 ᲚᲐᲠᲡ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲡᲢᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲞᲠᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ (ᲠᲣᲡᲣᲚ) ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲤᲝᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ №10 ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲚ: (0493) 27 95 45; ᲛᲝᲑ: 595 14 44 00; 599 16 48 71; 595 45 14 14; 577 49 63 09 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ 115Ა ᲢᲔᲚ: 595 53 12 12; 599 60 80 64; 555 25 55 11


# ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

## ᲤᲝᲗᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ

ფოთში რამდენიმე დღიანი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი საზეიმო ვითარებაში უკვე დაიხურა.აღნიშნული ღონისძიება ფოთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით (25 ათასი ლარი) და ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლის ორგანიზებით მოეწყო. ფესტივალისთვის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ 6000 ლარი, ხოლო გენერალურმა სპონსორმა “პაშა” ბანკმა 5000 გაიღეს. წელს ფესტივალში 12 ქვეყნის 400-ზე მეტი მონაწილე, მათ 15 დიდოსტატი მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები საზეიმო ვითარებაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს. შედეგები კი ასე გადანაწილდა: ბლიც ტურნირზე მესამე ადგილზე ლუკა პაიჭაძე გავიდა, მეორეზე - მანუელ პეტროსიანი -( სომხეთი), პირველი ადგილის მფლობელი უკრაინელი ოლექსანდრ ბორტნიკი გახდა. ქალთა შორის საუკეთესო გახლდათ სომეხი მოჭადრაკე მარია გეგორქიანი, რომელმაც პირველი ადგილი არავის დაუთმო. ფესტივალის მთავარ ტურნირზე მე-3-ე ადგილი ისევ ლუკა პაიჭაძეს ერგო, 2 ადგილის მფლობელი უკრაინელი - ალექსანდრ ზუბოვი გახდა, ფესტივალის მთავარი პრიზი და 6000 ლარი სომხეთის წარმომადგენელმა ვაჰე ბაგდასარიანმა დაისაკუთრა. ქალთა შორის მთავარ ტურნირში ადგილები ასე განაწილდა - 3 ადგილი - ალექსანდრე ვახანია, მე-2-ე ადგილი - ანა სტიაჟკინა, ხოლო ამ ჯერზე 1 ადგილი არავის დაუთმო ქართველმა სალომე ხაუომიამ. ბ ღია ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ აკაკი ზარდიაშვილი -3 ადგილი, გურამ კოკაია - 2 ადგილი, ნიკოლოზ პეტრიაშვილი - 1 ადგილი. 12 წლის ჭაბუკთა შორის ტურნირში 5 ადგილზე გიორგი ნაყოფია გავიდა, 3 ადგილზე აკაკი დაჭავა, 2 ადგილზე თორნიკე წერეთელი, ხოლო პირველზე აზერბაიჯანელი ფარიდ მუსტაფაიევი გავიდნენენ, ეს უკანასკნელი 11 წლის ჭაბუკთა შორის საუკეთესოც გახდა. 12 წლის გოგონათა შორის 5 ადგილი სომეხმა ასია ედიგარიანმა აიღო, 4 ადგილზე ქართველი ეკატერინე ბეჭვაია გავიდა,მესამე ადგილი სომხეთის წარმომადგენელმა მანე ნოვანისიანმა დაისაკუთრა, 2 ადგილზე ქართველი ნია დონღვანი გავიდა. თავის თანატოლებს პირველი ადგილი არ დაუთმო ქართველმა თამარ ესაძემ. მეორე ადგილის მფლობელი ნია დონღვანი 11 წლის გოგონათა შორის საუკეთესოდაც აღიარეს. 10 წლის ჭაბუკთა შორის გამარჯვებულები გახდნენ: 5 ადგილი - ზურაბ ავალიანი, 4 ადგილი - ალექსანდრე ტოპორინი (რუსეთი), მესამე და მეორე ადგილები გაინაწილეს ფოთელმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა დიანა ლომაიამ და აკაკი ყალიჩავამ,პირველ ადგილზე კი აზერბაიჯანელი მურად მუსაიევი გავიდა. 9 წლის ჭაბუკთა შორის საუკეთესოდ დაასახელეს ზურაბ ავალიანი. 10 წლის გოგონათა შორის გამარჯვებულები გახდნენ: 5 ადგილი - ნათია სახამბერიძე, 4 ადგილი - ლილე გუმბერიძე, 3 ადგილი - თამარ თასოშვილი, 2 ადგილი - ასტიკ ჰაკობიანი, 1 ადგილი - ელენე წოწონავა (ფოთი).9 წლის გოგონათა შორის საუკეთესო გახდა მარიამ დოლაკიძე. 8 წლის ჭაბუკთა შორის გამარჯვებულები არიან: 5 ადგილი - ლადო მაღლაკელიძე, 4 ადგილი - გიორგი ცირამუა (ფოთი), 3 ადგილი - მიხეილ სიჭინავა, 2 ადგილი - მიხეილ ხანთაძე, 1 ადგილი - ზაალ გვარამია. 7 წლის ჭაბუკთა შორის საუკეთესო გახდა დავით ლომთაძე. 8 წლის გოგონათა შორის გაიმარჯვეს: 5 ადგილი - ანა მეგრელაძე, 4 ადგილი - მარიამ სიჭინავა, 3 ადგილი - ბარბარე მიქიაშვილი, 2 ადგილი - მარიამ გაბელაია, 1 ადგილი - მარიამ გვათუა, რომელიც საუკეთესო გახდა 7 წლის გოგონათა შორის. არჩილ ებრალიძის სახელობის პრიზი გადაეცემა ფესტივალის საუკეთესო შედეგის მქონე ფოთელ მოჭადრაკეს ელენე წოწონავა, ბოჩიკა ლოლუას სახელობის პრიზი კი - ფესტივალის საუკეთესო ფოთელ მწვრთნელს გოჩა ჩაჩუას.

# გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„

## აცხადებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი„-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიაშიც იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიაშიც გაიყიდება გაზეთი.

რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველებმა მიაღებინონ მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ ღებულობს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.
2. მკითხველს შეუძლია მისცეს ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამოჭრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობენ)
3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომელიც მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიმცემიც.
4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან საჩუქარს.
5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოჭრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიტანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიტანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს ღებულობს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსი ცხადება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომელიც რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს წარმოადგენს.

## ცხელი ხაზი

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში" მოქმედებს ცხელი ხაზი.

თუ გაქვთ პრობლემა: გესაჭირეობათ დახმარება, ან გსურთ თქვენი ხმა მიაწვდინოთ კომპეტენტურ პირსა და ორგანოს, დაგვირეკეთ ნომრებზე: 599 34 14 17, 574 34 14 17, ჩვენ შევეცდებით დაგეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში; შეგიძლიათ დაგვირეკოთ საქალაქო ტელეფონზეც: 04293 22 40 50

## კუპონი №16

მთავარი თემა სამეგრელოში

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - - - - - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - - - - - - - - - - - - - -

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ხმის მომცემის სახელი და გვარი ----------

მისამართი: ----------

ტელ: ----------

ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

**გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

*იკითხეთ გაზეთი* მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,



(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.